# დარიგება

## მოყუანისათვს ამერიკულის თამბაქოსი

(*Статья Г. Дусси.*)

---

თარგმნილი
პლ. იოს.
მიერ.

---

დაბეჭდილი
სტამბასა შინა ი. და დ. არზანოვთა.
ქ. ტფილისს.
1841

105
363854

# НАСТАВЛЕНІЕ
## О ВОЗДѢЛЫВАНІИ АМЕРИКАНСКАГО ТАБАКУ.

Переведено на Грузинскій языкъ и издано иждивеніемъ Закавказскаго Общества поощренія сельской и Мануфактурной промышленности и Торговли.

---

Тифлисъ.
Въ Типографіи Я. и Д. Арзановыхъ.
1841.

მთავრობის ბრძანებით.

# დარიგება,

## მოყვანისათვის ამერიკულისა თამბაქოსი;

## შედგენილი გამოცდილებითა, რომელნიცა უქმნიესთ ყირიმში.

### *) შემზადებისათვის კვლებ-თა თამბაქოს დასათესად.

დასათესად თამბაქოს თესლისა უნდა შეერჩიოს მიწა ახალი, დანეხვილი; ესრეთი რომ ჯერეთ არ ყოფილ-იყოს ნათესი; ჩრდილოეთისა მხარეს უნდა იყოს დაფარებული მთებითა ანუ ხეებითა; მდებარე წყლის ახლოს და მოლობილი რომ ვერ შეუვიდეს საქონელი, მაღლი და თითქმის მჳრინჭულიცა.

ესრეთისა თვსებისა ადგილი შემოდგომისა თჳეებში უნდა დაიბაროს და დაბარული დარჩეს მთელისა ზამთარსა. გაზაფხულზედ ანუ ფებერვლის 15-დამ მერმედ გადიბარონს; დიდრონი გოროსანი მიწად დაანაცრონ და თუ ბალახისა ძირები იპოვონდენ, მოიმეზნენ და გარდაყარონ. მერეთ დაყონ მიწა ლარითა და გაჰყვონ,

კვლები ესრეთ რომ სიგრძე თვითოსა კვალსა ჰქონდეს ერთი საჟენი და სიგანე ხუთი ჩარექი რუსული ადლი და სიღრმე ორი გოჯი. შემ-დგომად მოიტანონ დამპალებული ცხვრის ნეხვ სასუქად, გაცრან მსხვლისა მარილისა ანუ სხვსა რისამე საცერში და დააყარონ თვითოსა კვალსა ერთისა გოჯის სისქედ და ესრეთ შემ-ზადდეს თამბაქოს დასათესად.

## 2) შემზადებისათვს კვლების საფარებელთა ოდეს დაითესება თამბაქო.

რადგანაც თამბაქო უნდა დაითესებოდეს თე-ბერვლის თვის უკანასკნელს რიცხუებში ანუ მარტის თვის დასაწყისს და ამა თვეებში ხში-რად იქმნება ყინვა და თოვლიცა; ამისთვს უნდა იზრუნონ რომ ნათესსა კვლებსა ჰქონდესთ სა-ფარებელი და მით არ შეაციონ თამბაქოს თესლე-ბი. საფარებელნი უნდა გაკეთდენ ლერწმიდამ ამ-გვარად: თვითოს კვალისათვს მოიტანონ ორი თანასწორი კეტი, კვალზედ ცოტა მოკლე; სი-სქით გოჯ-ნახევარი; მერმეთ მოჰსჭრენ თხილი-სა ანუ მუხის ხისა რქა ჯოხი ანუ სხარი სა-

გრძლათ ხუთი ჩარექი; ამათგან ოთხი გადიდვას ორს პეტზედ, და მათზედ ფურცლოვანი ლერწამი და ამ ლერწამზედ. დაიდვას სვეცა ოთხი ჯოხი და გადიბან ესეი წვრილის თოკებითა და დააფარონ დათესილი თამბაქოს თესლითა კვალი. თუ ლერწამი ვერ იშოვნონ, მაშინ ყანის ჩალაც მოიხმარება და ნაცვლად რვისა პეტისა მოუყვნდება ათი.

## ბ) შემზადებისათვის თამბაქოს თესლისა დასათესად და დათესვისათვის.

20-სა თებერვლის რიცხვსა უნდა მოიტანონ თამბაქოს თესლი; დაცალონ წვრილის ტილოს პარკებში; მოაკრან პირი, დაასველონ ცივის წყლითა ისრეთ რომ თამბაქოს თესლები ძალიან დასველდნენ; მერეთ გაახვიონ მატყლის მოწკებში ანუ მაუდის ნაჭერში, დაჰკიდონ ფეჩისა ანუ ბუხრისა ახლოს რომ ათბობდნენ, მაგრამ უნდა ეცადნენ რომ მეტად ცხელისა ადგილზედ არ დაჰკიდონ და ყოველ-დღე ცივის წყლითა ასველებდნენ. თუ პარკები, რომელშიაც თესლები აწყვია სითბისგან გახმეს, მაშინ ხელადვე უნდა დაასველონ და თბილსავე ადგილისა და-

ჰსდჭან. შვიდისა ანუ რვისა დღის შემდგომად თესლები აღოჩნდებიან და ამ დროს უნდა მოიტანოთ თიხის ჯამი, აავსოთ პირამდინ ხმელის გაცრილის მიწითა აურიოთ ამ მიწაში აღოჩებული თესლები და დათესოთ ხელით ჭურჭლებში ესრეთ რომ თესლები თხლად იყვნენ დათესილნი, ესე იგი თვით მარცვალი თესლისა უნდა იყოს მოშორებული მეორისაგან ნახევარგოჯითა. თუმცა ესეც არ არის ადვილი სიწვრილისა-გამო თესლისა, მაგრამ უნდა ეცადნენ რაოდენცა შეიძლება რომ ხშირად არ იყვნენ ნათესნი მარცვლები თამბაქოს თესლისა; რომელსაც დათესოთ მარცვლები, მაშინ უნდა გქონდეს მზად გრილად მოგროვილი, ხმელი ცხვრის ნეხვი; და ეს ნეხვი უნდა ჩაყარო სხვილს საცერში და დათესილს მარცვლებსა შეაყარო ნახევარ-გოჯის სისქეზედ. რომელსაც მუშა გარდავა მეორეს ჭურჭალში რომ სასუქი დაყაროს, მაშინ სხვა მუშა მივა პირჭყლისავე ჭურჭალში და ნიჩბით დაუწყებს მიყრილის სასუქის დატკეპნასა ესრეთ რომ რაც უნდა მაგრად დაჰსჭა ხელი დატკეპნილმან მიწამან აღარ დაიწიოს. ესრეთ უნდა დაითესონ სხვა ჭურჭლებიცა. ამისა შემდგომად უნდა მორწყოთ დათე-

სილი კულუბი სასხურებელის სარწყულითა (поливальница) და დააფართ ლერწამის საფა-რებელი როგორც ზემოთ დავჰსწერე (§ 2.)

### 4 ) ყურად-ღებისათჳს, რომე-ლიცა უნდა აქუნდეს შემდგომად კულების დათესისა.

რადგანაც მარცვის თოხუმში ღამე იქმნება ხშირად ყინვა და სიცივეცა, ამისთჳს საფარე-ბელი არ უნდა ადრე დილით ახადოთ ხოლმე დათესილსა კულებსა. საფარებელი უნდა ახა-დოთ ყოველთჳს მაშინ როდესაც დღე მოთბეს და მზე მაღლა ამოვიდეს და თოვლმაცა იწყოს დნობა. თუ საფარებელისა ახდისა შემდგომ დარჩეს რამე კულებში საფარებელიდამ ჩა-ცვივნული ბალახი ანუ ყლორცი, ისინიცა უნ-და მოწმინდოთ. შუა-დღისას კიდევ მორწყათ სასხურებელის სარწყულითა (поливальница) ერთ-ხელ ესრეთ რომ ორი დიდი სარწყული დაიცალოს ანუ ამოდენად მორწყათ რომ კუ-ლი კარგად წყლით გაიჟღინთოს. წყალი უნდა იყოს წყაროსი ანუ ჭისა და თუ ამისთანა წყალი არ იყოს, მაშინ უნდა გჰქონდესთ მზათ

ორი დ̃ სამი დიდროონს ქჳაბში გამოხარი მდი-
ნარის წყალი დ̃ ეს შეაზავეთ ცივის მდინარი-
საჲ წყლითა რომ ზაფხულის თბილისა წყალ-
სა გჳანდეს, დ̃ ამით მორწყეთ ხოლმე. დ̃ თუ
ბევრი გქონდეს დათესილი, მაშინ მუშა უნდა
გყვანდეს სამი ანუ ოთხი რომ ყოველთ მორ-
ჩნენ რწყვასა ერთს საათზედ, ხან-გრძელითა
მორწყვითა მოხდება ესე რომ კჳლები მალე
ვერ შეიმრობენ წყლისა, სიცივე დაჰკრავს დ̃
ავნებს თამბაქოს თესლებსა. მზის ჩასვლამდინ
უნდა ყოველთ დაავაროთ საფარებელი, დ̃ თუ
შეხჳდება დღე წვიმიანი, მაშინ მორწყვა აღარ
უნდა. თუ შეხჳდეს დღე ღოვლიანი დ̃ ქარიცა
იყოს ცივი, მაშინ არ უნდა აიხადოს საფარე-
ბელი მანამ გამოიდარებს. ესრეთ უნდა იქცე-
ოდე სიფრთხილით მარგლის თავს გასვლამდინ.
შენიშნულია რომ დათესვისა შემდგომ თუ და-
დგა კარგი ტაროსი თამბაქო უნდა ამოვიდეს
კჳლებში თორმეტს დღეზედ, დ̃ მასთანვე ამო-
ჰყვებიან ბალახებიცა, რომელთაცა უნდა და-
ცალო გაზრდა იმ დრომდინ რომ შეეძლოს
თითებით მათი დავლეჯა ძირიანად დ̃ გადაყრა.
აქაც უნდა დიდი სიფრთხილე რომ ამოსულს
თამბაქოს არ ავნოს. ამა მუშაობისათჳს

ჰსჭრობს იყოლიონ საშუალის წლის გოგო-ბიჭები, რომ ამოგლეჯილი მირეზით ბალა-ხები ღობის შორს გარდაყარონ; შორს ამი-ტომ რომ ქარმა კვლებშივე არ მიყაროს და ამასთანავე ხშირად უნდა შეღობილი ადგილი-ცა ჰკავონ რომ ბალახი და ნაგავი არ მიყაროს ქარმან თამბაქოს კვლებში. ამისა შემდგომად თუ აპრილის თთუეებში არ იყოს ქარიანი დღე-ები და ყინვა, მაშინ დღეში ორ-ჯერ უნდა მო-ირწყოდეს კვლები დილით მეცხრეს საათსა და სადილისა შემდგომად მეოთხესა საათსა. ესრეთ უნდა მუშაობდე მაისის თთუემდინ, და ამ დრო-სათჳს თამბაქო მომზადდება ასე რომ, შეი-ძლება მათი გარდარგვა. ამისა გარდა კიდევაც მოუნდება გამარგვლა თამბაქოსა, და რაოდენ-ცა გაიზრდება თამბაქო ეგოდენ ადვილი იქმნე-ბა ბალახებისა გლეჯა რომ თამბაქო არ და-ჰსჩაგროს. თუ მოხდეს რომ თამბაქო ხშირად ამოვიდეს, მაშინ უნდა გამარგვლისა ჟამსა უფრო წვრილი რომელიმე თამბაქოცა დაი-გლიჯოს რომ სხვასა უკეთესსა არ ავნოს. გა-მარგვლისა შემდგომად უნდა ყოველთჳს მო-ირწყოს კვლები, რომ დამრყული მიწა ისევ გამაგრდეს, და მიეკრას თამბაქოს მირეზსა.

### 5) მიწისათჳს, რაგჳარიცა არის თამბაქოსათჳს საჭირო და მომზადება მისი.

თამბაქო უნდა იყოს დათესილი მსუქანს შავს ანუ წითელს მიწაზედ ასე რომ ცოტა ერიოს ქვიშა; უფრორე უკეთესია სათესად მიწა ნეხვიანი (ცხვრისა) (*). მდებარეობა ადგილისა სათესად უკეთესია შეირჩივონ ესრეთი რომ იყოს მდინარისა პირზედ ანუ წყაროსა ახლოს რომ მორწყჳა ადვილ-შესაძლებელი იყოს. უფრო უკეთესი იქმნება ესრეთი ადგილი რომელიცა სამხრეთს უყურებს, მდებარებს პირის-პირ მზისა და მთეებისა შუაზედ არის.

ადგილი რომ შეერჩივოს, უნდა მოიხნას შემოდგომაზედ და დარჩეს მოხნული მრთელსა ზამთარსა. 15 აპრილის რიცხჳსა უნდა მეორედ მოიხნას და კარგად გაიმარგლოს რომ ბალახის ძირები ამოვარდნენ. როდესაც დათესვისა დრო

---

(*) ვიეთნიმე ჰგონებენ რომ ნეხვიანი ადგილი აძლევს თამბაქოსა ნეხვისა სუნსა, ამისთჳს უფრორე უკეთესად არის ნაპოვნი სასუქად მიწისათჳს ნეხვი ცხვრისა. პ. . . ი. .

მოვიდეს მაშინ უნდა დაიზაროს კჳლები; კჳლე-ბი უნდა იყვნენ მოშორებულნი ერთი მეორე-სა ერთის ადლის სიგანით და ამასთანავე უნდა ეცადნენ რომ წყლის-სადინელი ყოს რიგია-ნად გაკეთებული რომ მოსარწყავი წყალი ყოველგან მისწვდეს.

6) თამბაქოს გარდარგვისათვის:

რომლესაცა თამბაქოს გარდარგვის დრო მო-ვიდეს (ამისთვის არის დრო დანიშნული 25 აპრილიდამ I მაისამდე), მაშინ უნდა მო-რწყონ კჳლები დაშორებით და უთუოთ ერთის დღეს მორწყვა გაათავონ. წყალი მოსარწყა-ვი უნდა მიეცეს მუშებსა თანასწორი ესრეთ რომ ერთმან მეორეზედ მეტი არ დაასხას ერ-თის ზომის კვალისა. მეორეს დღეს გათენებისას მოიღონ მსხვილი თამბაქო ძირებით და დაწნულს ვანიერს გოდრებში შეინახონ და ჭილობები დააფარონ რომ არცა ქარი, არცა მზე არ მო-ხვდეს და ჩარგონ სადაცა ადგილია დანიშნუ-ლი. საჭირო არის რომ სიჩქარისათვის იყვნენ ორ-გვარი მუშანი ესრეთ რომ ერთი ამო-დებდეს და მეორე დარგავდეს. დარგვისა დროს

უნდა ორი პირის გაყვითლებული ფოთოლი გაიჭკნობდეს, მალე დაირგვოდეს და მიწა მიეყრებოდეს. დარგული თამბაქო უნდა მაშინვე მოირწყოს. თუ დახვდეს დღე ნისლიანი, მაშინ რგონ მრთელი დღე ზინდამდინ. და თუ შეხვდეს ქარიანი და ცხელი დღე, მაშინ იმუშავონ დილით ათ-საათამდე, და სადილისა შემდგომ მესამის საათიდამ დაღამებამდინ.– თუ ვისმე ბევრი ჰყვანდეს მუშა, მაშინ აღარარის საჭირო დილით მუშაობა. მხოლოდ იმუშავენ სადილ-შემდეგ სამის საათამდინ ზინდამდინ.

### 7) ყურის-გდებისათვის, რომელიცა უნდა აქუნდეს შემდგომად თამბაქოს გარდარგვისა.

თამბაქოს გარდარგვის შემდგომ უნდა აქუნდესთ მეცადინება მორწყვისა, რომელიცა უნდა იყოს ყოველთვის ორის დღის გამოშვებით მესამესა დღესა. ეს ის დრო იქმნება რომ ამ დროსა უნდა თამბაქომ გამოჰსცეს კიდევ ორ-ორი, ანუ სამ-სამი ახალი ფოთოლი; გაუმაგრდება ყლორცი და თვით თამბაქო ამაღლდება ერთის ჩარექზედ: ეს უნდა მოხდეს 17

დღესა შემდგომ გარდარგვისა. ამ დროს კიდევ უნდა გამარგვლა და მიწისა ნელი და-ბარვა, რომ თამბაქოს არ ავნოს, და მერე უნდა თამბაქოს მირევნა, მაღლად მიაყროს მიწა თითქმის ფოთლებამდის. მაშა უნდა მეტადინებდეს რომ ჩქარა დაიწყოს ესრეთი მოშობა და მაღლე გაათავოს; ეს იქმნება პირვე-ლი მიზეზი კარგის თამბაქოს მოსავლისა. შემდგომად მიწის დამარგვლისა და შემსუ-ბუქებისა უნდა მოირწყოს კვალი ოთხ-დღეში ერთ-ხელ. მორწყვა უნდა იყოს დაუ-ყოვნებელი ივნისის (თიბათვს) თვეს გასვლამ-დის. მერე უნდა შეუშვას მაშა რომ თამ-ბაქოს ყვავილის თავები და ზევითი თავებთან წვრილი ფურცლები დაგლიჯოს და მოაშო-როს; დაგლეჯილების ყვავილის თავებისა გა-მოცდანა ლობიდამ არ არის საჭირო: შეიძლე-ბა იქავ დაყაროს. თამბაქოს თავების დაგლე-ჯის ჟამსა უნდა ეცადოს მომყვნოს ოც და ათამდის ესრეთი, რომ იყოს მსხვილი, დიდ-ფურცლიანი და სხვათა-ზედ მაღალი; ესენი დაინიშნოს ჩხირებითა და შეინახოს სათესლოდ. მეტადრე ესრეთი, რომელთაცა ადრე მოუ-ვიდათ ყვავილი.

დაგლეჯა უნდა მალე გათავდეს ხოლმე და [illegible] მოირწყოს; ამისა დღის შემდგომად, თამბაქოს დაგლეჯილს ადგილებში ამოყვა გრძელი ყლორტები ერთის გოჯის სიგრძეზედ და ესენი უნდა მალე მოაშოროთ. გარდა ამისა ყოველ-დღე უნდა დავიდოდეს კუალებში და ეძებდეს გაყვითლებულს ძირის ფურცლებსა, და რომელსაც იპოვოს მაშინვე დაგლიჯოს, წაი-ლოს სარაიაში და აასხას გოლლანდიისა მაფზედ (*) და ხეზედ დაკიდებული გაახმოს.

## 8) თამბაქოს მოგროვებისა-თვს და დაწყობისა.

რომელსაც დაგლიჯო მეტად ყუავილებისა ადგილის ამოსული ყლორტები და გაყვითლე-ბული ადგილ-ადგილ ფოთლები, მაშინ შვიდს ანუ რვას დღეს შემდგომად მომზადდება მო-საკრეფად თამბაქოს ფოთლები. ნიშანი მომწი-ფებისა ეს არის რომ ფოთლები ძირს მიწას დაეშვებიან. დაჰკარგვენ სიმწვანესა და მიიღე-ბენ მოშავო-მწვანესა ფერსა და შეიქმნებიან

(*) გოლლანდიის მაფი ეწოდების წვრილს და მაგარსა თოკსა.

მოყვითლო, ხალებიანნი და ზოგნი სრულიად გაყვითლდებიან. თუ ეს ნიშნები, არ გამოსჩნდენ, მაშინ უნდა კიდევ დააცალოთ ხუთი დღე და შეუშუა მუშა, რომ ქუემო ხუთი ფოთოლი მოგლიჯოს და მოაცალოს თამბაქოს ყლორტსა. ფოთლების გლეჯისა და მოკრეფისათვის არის დანიშნული დილის ათ-საათამდის და სადილისა შემდგომად ოთხის-საათიდამ დაღამებამდის. ფოთლები უნდა დაჭყონ რიგზედ: ბოლო ერთისა ფურცლისა უნდა დაიდოს ბოლოზედვე მეორისა ფურცლისა; პირი ერთისა უნდა დაიფაროს ზურგითა მეორისა ფურცლისა. მერე უნდა დაარჩიონ კარგად გაყვითლებული ფოთლები, აასხან ძაფზედ და გაახმონ; ცოტად გაყვითლებულთა დააცალონ, მერე ისინიცა გაახმონ. ამისთვის თამბაქოსა ფოთლები უნდა იყუნენ დაყოფილნი სხუა და სხუა სორტებად. ზოგნი მოიკრიფებიან პირველად, ზოგნი ხუთის დღის და ზოგნი ათის დღის შემდგომად. მოკრეფასა უნდა ეცადნონ გრილს დღეებში; და თუ ცხელი დღე შეხუდეს, მაშინ უნდა ახალი ჩალა დააფარონ თამბაქოსა, ანუ თვით თამბაქოს ყლორტებივე.

## 9) თამბაქოს ასხმისა და გახმობისათჳს.

როდესაც რომ მოკრიფო თამბაქო და დააცალო გაყვითლება მაშინ უნდა უგდო ყური იმ დროს როდესაც ფურცლები დაიწყებენ გათბობასა და დაოფლიანებასა. ეს სითბო თამბაქოს გააყვითლებს ხუთს დღეში და მაშინ უფრო გაყვითლებულთა ასხამ და გახმობ. მაგრამ უნდა ეცადნენ რომ მალე გაახმონ: თუ დარჩა აუსხმელი. მაშინვე გაშავდება და იწყებს დალპობასა.. თამბაქო უნდა ასხან მსხვილს ძაფზედ დიდის ნემსით: ნემსი უნდა გაუყარონ ფურცლების შუა-გულში; ასხმის დროს არ უნდა შეაყოლონ მწჳანე ფოთოლი თამბაქოსი; მხოლოდ უნდა გარდააწყონ ცალკე და დააცალონ რომ დაოფლდენ და გაყვითლდნენ. თუ ვინმე ადრევე გაყვითლებისა ასხა მწჳანე თამბაქო, ის ისევ იმ ფერად დარჩება როგორც იყო და გემოსაც ანუ სუნსა არ მისცემს კარგსა; სხვა და სხვა სორტის თამბაქო უნდა სხვა და სხვად ასხან და სხვა და სხვას ადგილზედ

გაშრეს. აგვისტოს თთჳს კარგია მათი გაშრობა და გახმობა, მაგრამ ესრეთ რომ ღამით ცჳარი არ მოჰხჳდეს და თუ ცჳარიანი ღამეები დადგეს უთუოთ ღამე უნდა სარაიაში შეზიდონ და იქ დილამდინ ხმებოდეს. მეტად უნდა მოარიდონ თამბაქო ღამე ანუ დღე წვიმასა. წვიმა მოხუედრილი თამბაქო დაჰკარგავს ფერსა, გემოსა და თვით სიმძიმესაცა.

### 10) როგორ უნდა შეკრან შემდგომად გახმობისა თამბაქო.

105

რადგანაც შემოდგომისა დროს დაწყებასა ყოველთჳს გაზევრდება ნოტიო ღამე, ამისთჳს თამბაქოცა უთუოთ დანოტიოვდება სარაიაში, რაც უნდა ხმელი იყოს. აქავე საჭიროა უთუოთ თამბაქოს გარდაწყობა, ასე რომ ფურცლებად დაირჩეს და დიდრონს ფურცლების შუა ჩაიწყოს უთუოთ წვრილი ფურცლები; დაწყობილი თამბაქოს ფურცლები უნდა თოკის ნაცვლად შეიკრას სამინდის ფოჩისგანა გაკეთებულის [illegible] და წნუ-

ლის სარტყლითა. აქაცა საჭირო დაიხსო-ვონ რომ თუ თამბაქოს დაწყობისა დროს შეხვდეს მავი ფოთლები, ცალკე გარდაარ-ჩიონ და გაყვითლებულში არ გაურიონ.

### 11) სარაიების გაკეთებისათჳს და სიფრთხილისათჳს რომელიცა უნდა აქუნდეს გახმობისა დროს.

როდესაც გამოჰსჩნდეს რომ გარდარგუ-ლი თამბაქო კარგად მოდის, მაშინ უნდა ეცადოს კარგის სარაიის გაკეთებასა თამბა-ქოს დასაკიდავად და გასახმობელად. სარაია უნდა იყოს გაკეთებული ესრეთ რომ წვიმა არ ჩაუვიდეს. იქავ უნდა მომზადდენ ლატ-ნჲი რიგზედ გაწყობილნი რომ მათზედ შეიძლებოდეს თამბაქოს დაკიდება და გა-ხმობა. მაგრამ თუ დღე არ არის წვი-მიანი ანუ ცივი, გარეთ ჰსჯობს გახმო-ბა. სარაიები ამისთჳს უნდა გაკეთდენ რომ წვიმის და ავდრობისა ჟამსა იმათში თამ-

ბაქო მოაფვარონ. ქარისგან რყევა ლატ-
ნებისა დ̃ მათზედავე დაკიდებულის თამ-
ბაქოსი ძალიან ავნებს თამბაქოსა ჻

ი 7/622

12 ნ